შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.653)

18-25 ოქტომბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

უნარშეზღუდულებს ეტლები გადაეცათ

საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლებმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით და ამერიკული მხარის დაფინანსებით დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცეს.

ეტლების გადაცემას, სოფელ მირზაანში, თავწყაროში, გამარჯვებაში, არბოშიკსა და სამრეკლოში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ექიმი ვანო ნატროშვილი ესწრებოდნენ.

დაკარგული ფიროსმანი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა და კულტურისა და სპორტის ცენტრი,19 ოქტომბერს, მირზაანში, (დღის 12 საათზე) გენიალური მხატვრის, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში, აწყობს სახალხო დღესასწაულს- „ფიროსმანობა“. თქვენი მასპინძელი იქნება ნიკალას ნატერფალი ქიზიყის მიწა, ალალ-მართალი ქიზიყელი გლეხი, თავისი ხელით მოწეული შემოდგომის სანოვაგით, კახური ღვინით... გაცოცხლებული წინა საუკუნის ისტორიული ეპოქა და ბანოვანები, არღანი, ფაეტონი, „ქსოვრელები”, ყარაჩოხელები და კინტოები, ქართული ფოლკლორის რაიონული კოლექტივები, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა.....გაიმართება სპორტული შეჯიბრებები. დიდი ნიკო ფიროსმანის გარემო კვლავ უმასპინძლებს ქართველ და უცხოელ სტუმრებს, კიდევ ერთხელ შეეგებება საექსპოზიციო დარბაზის შუაგულში დადგმული მაგიდა და სამოვარი,ფიროსმანის სიცოცხლის შემდეგ რეალიზებული მისი ოცნება, ნიკალას ნიჭის თაყვანისმცემლებს, მაგრამ ამის მიუხედავად კვლავ დაკარგული რჩება მისი საფლავი, მსგავსად მისი ცხოვრებისა.

ნიკო ფიროსმანი მეოცე საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის შემოქმედებას სიცოცხლეშივე აფასებდნენ როგორც თბილისის ე.წ. აზიურ ნაწილში, ასევე პროფესიონალ მხატვართა წრეში, ქართულმა საზოგადოებამ მისი საფლავის დაკარგვა მაინც მოახერხა. ერთი ვერსიის მიხედვით, ფიროსმანი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული, მეორის თანახმად კი — ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავნის მახლობლად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ასევე უცნობია მხატვრის გარდაცვალების ზუსტი თარიღი: სახელდება 1918 წლის აპრილი და 1919 წლის მაისი. ბოლო დროს ინტენსიურად საუბრობენ მხატვრის საფლავის მოძიებისა და მთაწმინდაზე მისი გადასვენების შესახებ. ორიოდე წლის წინ მთაწმინდის პანთეონში ნიკო ფიროსმანის კენოტაფიც კი გაკეთდა, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა. რა აფერხებს დიდი მხატვრის საფლავის მოძიებასა და კენოტაფის მოწყობას?

1916 წლის 24 მაისს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მეორე სხდომაზე პირველ საკითხად შეტანილი იქნა მოხსენება ნიკო ფიროსმანაშვილზე, დადგენილებაში კი ერთ-ერთ პუნქტად ჩაიწერა: „გაწეული ხარჯი ფიროსმანაშვილის მოძიებისა და დახმარების აღმოჩენისათვის იკისროს საზოგადოებამ.“ ამ დროს, ანუ 1916 წელს, ცხადია, ფიროსმანი ცოცხალი იყო, ანუ საზოგადოებამ მხატვარი სიცოცხლეშივე დაკარგა. შესაბამისად, როგორც მწერალი და ფიროსმანის ბიოგრაფი გიორგი კაკაბაძე ამბობს, გასაკვირი არ არის, რომ დაიკარგა მხატვრის საფლავიც:

„ჩვენ ზოგადად ვართ ძალიან უყურადღებო ადამიანები. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ არ ვიცით ჩვენი უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის ნამდვილი სახელი და გვარი და, რა თქმა უნდა, არც ბიოგრაფიული ცნობები გვაქვს. ჩვენ დაგვეკარგა ასევე შოთა რუსთაველის მეორე პოემა, „იოსებ მშვენიერი“, რომლის შესახებაც მხოლოდ ფრაგმენტები ვიცით, რომ არსებობდა. ჩვენ ვართ ერი, რომელმაც დაკარგა ნიკოლოზ ბარათაშვილის ფოტოპორტრეტი და წარმოდგენა არ გვაქვს როგორ გამოიყურებოდა ის. ასევე არ მიკვირს, რომ დავკარგეთ ნიკო ფიროსმანის საფლავი, რადგანაც ჩვენ ვერ ვაფასებთ სათანადოდ იმას, რაც გვაქვს“.

(გაგრძელება გვ.7)

გმირთა მემორიალი ზემო ქედში

გვ. 3

კახეთში მასშტაბური სამელიორაციო პროექტების განხორციელება იგეგმება

გვ. 3

ქალები საქართველოში

გვ. 5

ვაშლოვანის ნაკრძალში კიდევ ათი ჯეირანი გაუშვეს

გვ. 2

C M Y K

დავით უსუფაშვილი- „სააკაშვილს საკუთარი წარსული დევნის“...

“სააკაშვილს საკუთარი წარსული დევნის და არა - პუტინთან “შეკრული” ივანიშვილი”, - ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა “ნიუ იორკ თაიმსი” საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილს წერილს.

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე წერს, საქართველოს მეგობრების და პარტნიორების შეშფოთება ყოფილი პრეზიდენტის ბრალდებულად ცნობის გამო კიდევ ერთი ნიშანია, რომ საქართველოს მეგობრები გულგრილი არ არიან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი.

“მათ პოზიციას აღვიქვამ საქართველოს მხარდაჭერად და სურვილად, იხილონ ჩემი სამშობლო განვითარებულ და შემდგარი დემოკრატიის ქვეყნად. მესმის, ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკური მეგობრების რეაქცია. რთულია იმის ყურება, როგორ განიცდის კრახს ერთ დროს შენი პოლიტიკური მოკავშირე, რომელიც დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული. ვიცი და კარგად მესმის, რა იწვევს მათ შეშფოთებას. მათ ეშინიათ, რომ შესაძლოა, პოლიტიკური დევნისა და ანგარიშსწორების ნიშნები გაჩნდეს სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიაში ცხოვრების მწირი გამოცდილება აქვს. შემიძლია გავუგო მათ, რადგან წლების განმავლობაში ისინი საქართველოდან იღებდნენ მცდარ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ყვაოდა დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში. ახლა კი, მათ უჭირთ იმის დაჯერება, რომ ახალი მთავრობა არ აპირებს, გადაუხვიოს დემოკრატიის გზას. ამიტომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უპასუხოდ არ უნდა დატოვოს მათი კითხვები, რაოდენ უსამართლო და დაუსაბუთებელიც არ უნდა იყო ეს კითხვები. არის საკითხები და ეჭვები, რომელშიც სიცხადის შეტანა რთულია, რადგან რთულია ცალკეული პროცესების მუდმივი და ეფექტური მონიტორინგი ან ყველა ფაქტის გადამოწმება”, - წერს დავით უსუფაშვილი.

ამასთან, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, არის საკითხები, რომლებზეც ჭეშმარიტების დადგენა მარტივია. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ბრალდებულ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მეგობრების მიერ ფართოდ ტირაჟირებული ვერსია იმის შესახებ, რომ სააკაშვილს დევნის არა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა კანონის უზენაესობის შესაბამისად, არამედ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელიც მოქმედებს ყოფილი პრემიერისა და “გაზპრომის მთავარი აქციონერის” ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით და, რომლებიც გაერთიანებული ძალებით ცდილობენ მთელს რეგიონში მთავარი დემოკრატიული ლიდერის განადგურებას.

“ისინი, ვისაც არა აქვთ საჭირო ინფორმაცია ან არ უნდათ, რომ ჰქონდეთ, შეიძლება მართლაც ადვილად მოიხიბლონ ამ ჰოლივუდური სიუჟეტით. მაგრამ გაოცებას იწვევს იმ ცალკეული პოლიტიკოსების დამოკიდებულება, ვისაც არც ინფორმაციის ნაკლებობა აქვს და არც გამოცდილების”, - წერს დავით უსუფაშვილი.

ვაშლოვანის ნაკრძალში კიდევ ათი ჯეირანი გაუშვეს

დედოფლისწყაროში მდებარე ვაშლოვანის ნაკრძალში აზერბაიჯანულმა მხარემ კიდევ ათი ჯეირანი (ქურციკი) გაუშვა. როგორც ვაშლოვანის ნაკრძალის დირექტორმა მერაბ ფიროსმანაშვილმა განაცხადა, ჯეირნები ნაკრძალს საჩუქრად გადაეცა.

მისივე ინფორმაციით, ქურციკები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ადრე გაშვებულ 19 ჯეირანთან ერთად ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში იქნებიან.

ვაშლოვანის ნაკრძალს ქურციკები „ჯეირანის რეინტროდუქციის პროექტის“ ფარგლებში გადაეცა, რომელიც გერმანიის თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (BMd) ჭჭ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე „ქურციკების რეინტროდუქციის პროექტი“ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (უშAID) და თურქეთის გარემოს დაცვისა და სატყეო სამინისტროს ხელშეწყობით 2009 წლიდან ხორციელდება.

პროექტი, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გადაშენებული ჯეირნების (ქურციკების) რეინტროდუქციას ისახავს მიზნად.

მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმი 2015 წელსაც დაუბრუნდებათ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმი 2015 წელსაც დაუბრუნდებათ. თუ პირის მიერ 2014 წელს ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი 1800-დან 6000 ლარია, უფლება ექნება დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ წლიური ხელფასი 1800 ლარამდეა, დაბრუნებას ექვემდებარება თანხის 20%.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით, განსაზღვრულია ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის და თანხის დაბრუნების წესი (მუხლი 392). დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება 2015 წელსაც ზემოაღნიშნული რეგულაციებით განსაზღვრული წესით და პირობებით მოხდება.

ამასთან, 2014 წლის მსგავსად, 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმვაც დაუბეგრავი მინიმუმის სახით დასაბრუნებელი თანხის გამოკლებით ხორციელდება.

„როგორც იყო მიმდინარე წელს - თუ პირის მიერ 2014 წელს მიღებული დასაბეგრი ხელფასი არ აღემატება 6000 ლარს, უფლება ექნება 2015 წელს გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარი და მოითხოვოს აღნიშნულზე გადახდილი შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნება. კერძოდ, თუ პირის მიერ 2014 წელს ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი 1800-დან 6000 ლარია, მოცემულ შემთხვევაში, უფლება ექნება დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ 1800 ლარამდეა, მოცემულ შემთხვევაში, დაბრუნებას ექვემდებარება კონკრეტული თანხის 20 პროცენტი“, - აღნიშნეს ფინანსთა სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, მოსახლეობას დამატებით ეცნობება როდიდან ექნებათ საშუალება შეავსონ ელექტრონული დეკლარაცია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე.

„პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია მის პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახება ავტომატურად, დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს რის შემდეგაც, თანხის დაბრუნების მიზნით 3 თვის ვადაში, საგადასახადო ორგანო სახაზინო სამსახურს უგზავნის შესაბამის საგადახდო დავალებას, რომელიც სრულდება 10 სამუშაო დღეში“, - განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში.

ხელისუფლების აღნიშნული ინიციატივა დაბალშემოსავლიან თანამოქალაქეთა მხარდაჭერას ითვალისწინებს. სამინისტროს ცნობით, 2014 წელს, დაუბეგრავი მინიმუმის სახით 470 ათასზე მეტ მოქალაქეს 131 მილიონ ლარზე მეტი დაუბრუნდა.

პოლიციის წინააღმდეგობისთვის დედოფლისწყაროში ორი მამაკაცი დააკავეს

სამართალდამცავებმა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დედოფლისწყაროში აზერბაიჯანელი ეროვნების ორი მამაკაცი დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, ერთ-ერთ დაკავებულს პირადი ჩხრეკისას საბრძოლო მასალა აღმოაჩნდა. ინციდენტი ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე მოხდა.

„ორმა პირმა მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ძალადობის მუქარით, ასევე ხულიგნობის აღკვეთით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ძალადობით და ძალადობის მუქარით, უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივისმცემლობა. ამასთან ერთად, ბრალდებულს თან ჰქონდა საბრძოლო მასალა“, — განაცხადა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ირაკლი მინაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს და 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ოქროსფერი შემოდგომის” სტუმრები

გასულ კვირას სიღნაღის რაიონმა საკმაოდ ლამაზ ღონისძიებას „ოქროსფერ შემოდგომას” უმასპინძლა, ღონისძიების ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფი გახლდათ, სადაც სიღნაღის სკოლებთან ერთად ჩვენი რაიონის სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ მიწვეულები. ღონისძიებაში დედოფლისწყაროს პირველი და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლებიც იყვნენ მიწვეულები. ჩვენმა ბავშვებმა რა თქმა უნდა თავი გამოიჩინეს ლამაზი შემოდგომის სუფრის წარმოჩენაში, ლექსის თქმაში და სიმღერის ნომინაციაში. პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ ოთარ ტოკლიკიშვილმა ლექსი „ვაზის ჭირიმე “ წაიკითხა, რისთვისაც მან პირველი ადგილი და გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა, ხოლო ამავე სკოლის გოგონების გუნდმა ქართული ხალხური სიმღერების პოპურით მოაწონეს საზოგადოებას თავი. პირველი საჯარო სკოლა „ოქროსფერი შემოდგომის” ღონისძიებიდან უამრავი ახლადგამოცემული ლიტერატურით და სამახსოვრო საჩუქრებით ხელდამშვენებუყლი დაბრუნდა. ვულოცავთ პირველ საჯარო სკოლას ამ წარმატებას და კვლავაც უამრავ გამარჯვებას ვუსურვებთ.

ლალი მეხრიშვილი

სკოლის დირექტორების კონკურსში დედოფლისწყაროდან 10 კანდიდატი იბრძვის

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დირექტორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა (დირექტორობის უფლების მქონე პირთა) გასაუბრებას აგრძელებს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროში დირექტორობის უფლება 10-მა კანდიდატმა მოიპოვა.

როგორც „შირაქს“ სამინისტროს პრესცენტრიდან აცნობეს, დირექტორთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპის (საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენა) გასაუბრება ქალაქ დედოფლისწყაროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კანდიდატებისთვის 16 ოქტომბერს გაიმართა. თითოეული კანდიდატის გასაუბრებამ 20 წუთს გასტანა და ის სამინისტროს შენობაში ჩატარდა. საბოლოო შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

15-დან 18 ოქტომბრის ჩათვლით ასევე გასაუბრება გაიარეს, ასევე, გურჯაანის, ახმეტისა და ლაგოდეხის საჯარო სკოლების დირწექტორობის კანდიდატებიც.

16 ოქტომბერს დედოფლისწყაროდან გასაუბრება გაიარეს შემდეგმა კანდიდატებმა:

1. აფციაური ნელი 2. ბაიაშვილი რევაზ 3. ბუთხუზი ნათელა 4. იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი ლალი 5. ოთარაშვილი ეთერ 6. სიმონიძე მაია 7. სულიაშვილი-არაბული ნინო 8. ჭიღიტაშვილი მანანა 9. ჭიღიტაშვილი ნანული 10. ხუნაშვილი მაია

გმირთა მემორიალი ზემო ქედში

სოფელ ზემო ქედს კვლავაც უამრავი ინფრასტრუქტურული პრობლემა აქვს, თუმცა ვაჟა-ფშაველას მიერ საზღვარზე ჩამოსახლებულმა ზემო ქედელებმა გადაწყვიტეს, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მათი სოფლისთვის გამოყოფილი თანხით წელს სოფლის ცენტრში გმირთა მემორიალი აეგოთ და დაღუპულთა სულების უკვდავსაყოფად თავისი მცირე წვლილი შეეტანათ.

მემორიალის სამშენებლო სამუშაოებს რამდენიმე თვის განმავლობაში შპს „21-ე საუკუნე“ აწარმოებდა. საერთო ჯამში, მემორიალის ასაგებად და სკვერის დეკორატიული მესერით შემოსაღობად 18 000 ლარი დაიხარჯა. დამონტაჟებულია გარე განათება და სკამები. გაზაფხულზე ამ სკვერში ნერგების და ყვავილების დარგვა იგეგმება.

16 ოქტომბერს პარაკლისის გადახდის შემდეგ, რომელიც მამა ზაქარიამ აღავლინა, მემორიალის გახსნის ცერემონია გაიმართა. მემორიალის სვეტზე სოფელ ზემო ქედიდან ტერიტორიული მთლიანობისთვის ბოლო წლებში დაღუპული ოთხი გმირი ვაჟკაცის გვარი-სახელია ამოტვიფრული.

„ოთხი გმირი ჰყავს ჩვენს სოფელს. ბონდო კახოიძე, რომელსაც საბრძოლო მამაცობისთვის გორგასლის სახელობის მესამე ხარისხის ორდენი აქვს მინიჭებული, 2004 წელს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაიღუპა. 18 წლის გოჩა ილურიძე სავალდებულო სამსახურს იხდიდა, მისთვის საბრძოლო ნათლობა იყო, იარაღის დაჭერაც ვერ მოასწრო 2008 წლის აგვისტოში ისე დაიღუპა. გიორგი მარსაგიშვილი სპეცნაზში მსახურობდა, საბრძოლო მანქანაში ააფეთქეს და მისი საფლავი სოფელს არ აქვს, დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო მისი ცხედრის ადგილი. დედამისი დღესაც ელის, რომ ცოცხლად დაუბრუნდება შვილი. გოჩა ჭინჭარაული ჩვენი სოფლის მკვიდრი არ იყო. მშობლების უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ის ჩვენმა სოფელმა შეიფარა და ნათესავები ზრდიდნენ. სამხედრო სამსახურში ამ სოფლიდან გაიწვიეს, შემდეგ აქ მუშაობდა და 1993 წელს აფხაზეთში დაიღუპა. დაღუპული თანამებრძოლის გამოსაყვანად შებრუნდა და გმირულად დაეცა. დანარჩენი სამი გმირი კი ჩვენი სკოლის მოსწავლეა, ამის გამო სკოლის შესასვლელში მოწყობილი გვაქვს მათი კუთხე. თითქოს ისინი დაგვცქერიან და გვახსენებენ, რომ ომი არ დამთავრებულა, რომ საქართველოს ნაწილი კვლავაც აგრესორის ხელშია და სიმტკიცისა და ერთიანობისკენ მოგვიწოდებენ. გვაფრთხილებენ, რომ რაც სიძულვილს დაუნგრევია, სიყვარულით უნდა ვაშენოთ. ამ მემორიალის გახსნით სოფელმა გამოხატა დიდი სიყვარული და პატივისცემა ამ ბავშვების წინაშე და უღრმესი თანაგრძნობა ამ გმირების მშობლების წინაშე,“ - აღნიშნავს პედაგოგი ლილი ლეკაშვილი.

„ბევრი სოფელი მოვიარეთ, ბევრი პრობლემები იყო, მაგრამ მხოლოდ ზემო ქედსა და ფიროსმანში გვთხოვეს, რომ თანხას გმირების უკვდავსაყოფად დახარჯავდნენ და პრიორიტეტულ საკითხად გამოჰყოფდნენ. კარგი იქნებოდა მემორიალის გახსნა არ გვიწევდეს და სხვა ობიექტი აგვეშენებინა, მაგრამ საქართველოს ისტორია ყოველთვის ასე იწერებოდა. ვაჟა ფშაველამ თქვა, „რად უნდა ცუდას მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“ და ჩვენი არსებობის მანძილზე მუდამ მტრის შემოსევის მოგერიება გვიწევდა. შესაბამისად გვყავს ჩვენი დროის გმირებიც, რომელთა ხსოვნაც დაფასებას მოითხოვს. ისინი სამაგალითონი უნდა იყვნენ მომავალი თაობისთვის,“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ჩემი შვილი ამ გმირებს შორის ყველაზე პატარა ასაკში დაიღუპა. მადლობელი ვარ, რომ არ ივიწყებენ და ჯერ დედოფლისწყაროში გაუხსნეს მემორიალი, ახლა უკვე მშობლიურ სოფელშიც. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის,“ - გვითხრა გოჩა ილურიძის დედამ, მანანა ყაბანაშვილმა.

„პატივი სცეს ამ ბიჭებს, ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ამაყი ვარ, რომ ჩემი შვილი გმირულად დაიღუპა, ყოველთვის ამაყი ვიქნები, რადგან ჩემი შვილი დღესაც ცოცხალია. დღევანდელი დღე ჩემთვის ისეა, თითქოს გამიცოცხლდა. ამ ადგილზე მე ეს დავინახე. ალბათ ხშირად მოვალთ აქ და მადლიერი ვარ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ასეთი ადგილი შექმნა. ერთი თხოვნა მაქვს ხელისუფლებასთან, იმის გამო რომ დოკუმენტებში ზოგგან ალექსი მიწერია, ზოგგან ალექსანდრე, სახელის გამო დღემდე ვერ ვიღებ ყოველთვიურ 500 ლარს, რასაც ომში დაღუპულთა ოჯახებს აძლევენ. არადა უმუშევრად ვართ, არც საპენსიო ასაკი გვაქვს და ძალიან გვიჭირს. ბევრგან ვიარე, დავიღალე ამდენი სიარულით, სად არ მივაკითხე, მაგრამ ამ დრომდე ვერ ვიღებ ამ დახმარებას. ჟურნალისტებმა ეს ჩემი პრობლემა ახალ გამგებელს გააცნეს და ნიკოლოზ ჯანიაშვილი დამპირდა, რომ პრობლემას შეისწავლის და გამოსავალს ერთად ვიპოვით. ჩემი ერთადერთი თხოვნაა, ეს დახმარება მეც დამენიშნოს,“ - განუცხადა „შირაქს“ ბონდო კახოიძის მამამ, ალექსი კახოიძემ.

ღონისძიება ქართული ტრადიციების მიხედვით, ჭიქა ღვინის აწევით და შესანდობარის თქმით დასრულდა. მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავდა სოფლის რწუნებულის ბეჟან სუხაშვილის და რაიონის გამგებლის მისამართით. ასევე, სამუშაოთა მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელების მიმართ, რომელთაც კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შეასრულეს მემორიალის სამშენებლო სამუშაოები.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთში მასშტაბური სამელიორაციო პროექტების განხორციელება იგეგმება

გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის ხელმძღვანელის ლევან დვალის განცხადებით, სამელიორაციო სისტემებზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად კომპანია კახეთში მასშტაბური პროექტების განხორციელებას გეგმავს.

მისივე თქმით, პროექტების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წყალუზრუნველყოფა და გაიზრდება საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა.

კახეთის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, სამელიორაციო სისტემების კომპანიის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები და რაიონების გამგებლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე სარწყავ და სადრენაჟე სისტემებზე არსებულ პრობლემებზე, მის მოწესრიგებასა და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს. როგორც შეხვედრაზე აღნიშნეს, წლევანდელმა გვალვამ აჩვენა, რომ სტიქიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამცირებლად კახეთში გაცილებით მასშტაბური ღონისძიებებია გასატარებელი.

ბოგირი, რომელიც მოსახლეობას ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს

კვლავ აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, როგორც ჩვენი რაიონის სოფლებში, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე, ამჟამად გაზეთი „შირაქი” ერეკლე მეორის და თამარის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბოგირის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო და იქ მომუშავე პერსონალს გაესაუბრა. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, აქ მდებარე ბოგირი საკმაოდ მოძველებული იყო და მასზე მძიმე მანქანების გადასვლა რისკის შემცველი. წლების მანძილზე იგი ასევე პრობლემებს უქმნიდა ამ ორ ქუჩაზე დასახლებულ საცხოვრებელ სახლებსაც, ჭარბი ნალექის მოსვლის შემთხვევაში წყალი ბოგირში ვეღარ ასწრებდა გასვლას, სცდებოდა მის საზღვრებს და მიმდებარე უბნების მოსახლეობას სახლებში უვარდებოდა. დედოფლისწყაროელებს კარგად გვახსოვს 2010 წლის იმ ავბედითი ზაფხულის წვიმები, როდესაც იმის გამო, რომ ბოგირის და ხევის პირის აცდენა მოხდა, მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლების სახლებში წყალი შევარდა და მთლიანად დაიტბორა მათი ქვედა სართულები. ამჯერად აღნიშნული პრობლემა აღარ დადგება ერეკლე მეორის და თამარის ქუჩის მაცხოვრებლებისთვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი საგზაო დეპარტამენტის თანამშრომლების დახმარებით ახორციელებს საკმაოდ დიდ და გრანდიოზულ პროექტს ამ ქუჩებზე, მიმდინარეობს ამ გზის მოსაასფალტებლად მოსამზადებელი სამუშაოები, რისთვისაც პირველად ეტაპზე ბოგირის მშენებლობაა დაწყებული. -„ამ დროისთვის უკვე გამზადებული და გაჭრილია ბოგირისთვის საჭირო ორმო, მოხდა ძირის ბეტონით დაფარვა, ხოლო დღეს ჩამოვიტანეთ სპეციალურად ქალაქ გორში შეკვეთილი ბეტონის ოთხკუთხედი სანიაღვრე ფილები, რომლის ათი ანალოგი უნდა ჩაიფინოს ამ ბოგირის სრულყოფისთვის.”-აცხადებს ჩვენთან საუბარში მშენებელი გიორგი ფოცხვერაშვილი.

-„წლების მანძილზე წვიმების დროს სულ შიშში ვცხოვრობდით, ამ ხევში მომავალი წყალი ბოგირში გასვლას ვერ ასწრებდა და წყალი სარდაფებში გვივარდებოდა, ანალოგიურ სიტუაციაში იყვნენ ჩვენი მეზობლები, წვიმების შემდეგ სახლში სინესტე ისადგურებდა და თვეები სჭირდებოდა გამოშრობას. რა თქმა უნდა, ახალი ბოგირი ამ პრობლემას მოგვიხსნის, რამდენადაც ვიცით, ქალაქის არქიტექტორს მოსახლეობამ სთხოვა ბოგირის მშენებლობა ისე დაეგეგმა და გაეთვალა, რომ წყლის გამავლიანობა კარგი ყოფილიყო. ისიც გავიგეთ, რომ ამ ბოგირის გაკეთების შემდეგ მთლიან ქუჩაზე ასფალტიანი გზა უნდა დაიგოს, ეს კიდევ უფრო სასიხარულოა ჩვენთვის, რადგან მთელი ცხოვრება ასფალტის გზა არ გვქონია, თუმცა სურვილი იმის, რომ კომფორტული გზა ყოფილიყო ყოველთვის გვქონოდა, მადლობა მინდა ვუთხრა რაიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ ჩვენს ქუჩასაც მიაქციეს ყურადღება.”- ამბობს „შირაქთან” საუბარში ერეკლე მეორის ქუჩის მაცხოვრებელი მზია ჯანიაშვილი.

ლალი მეხრიშვილი

ცოდნა სინათლეა...

„ცოდნა სინათლეა, უცოდინრობა–სიბნელე“- ეს არის მთავარი ლეიტმოტივი სატელევიზიო საგანმანათლებლო თოქ-შოუსი „ეტალონი“, რომელიც ათეული წელია, მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონებით სარგებლობს. მიუხედავად საზოგადოების დადებითი განწყობისა, „ეტალონს“ ჰქონდა რთული პერიოდებიც, როცა წინა ხელისუფლების პირობებში ეს გადაცემა გაუქმდა და ,თუ არა მისი წამყვანის და ფუძემდებლის გოჩა ტყეშელაშვილის თავდაუზოგავი ბრძოლა, შეიძლება პროექტს არსებობა სრულიად შეეწყვიტა. მადლობა ღმერთს და მადლობა ბატონ გოჩას, რომ ეს შესანიშნავი გადაცემა, რომელიც ჩვენს მოზარდ თაობაში ცოდნა-განათლების მიღების წყურვილს აღვივებს, დღეს ისევ ეთერშია. გადაცემას, რომელსაც პატრონაჟს საპატრიარქო და თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე უწევს,ბევრი სპონსორი და გულშემატკივარი ჰყავს.

ჩვენთვის, დედოფლისწყაროელებისთვის კი ორმაგად საამაყოა ამ პროექტის არსებობა და წარმატება, რადგან მისი წამყვანი ბატონ გოჩა ტყეშელაშვილს მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს „დედოფლისწყაროობის“ დღესასწაულზე, მსოფლიო დონის ბარიტონისა და ჩვენი თანამემულის ლადო ათანელიშვილის, დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძისა და ბიზმესმენ ედვარდ ჩოუშიანის გვერდით „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება მიანიჭეს. ვალში არც ბატონი გოჩა დაგვრჩა და იქვე დადო პირობა, რომ „ეტალონი-2014“-ის სეზონი დედოფლისწყაროელი მოსწავლეების მონაწილეობით გაიხსნებოდა. ამის წინაპირობა კი ის გახლდათ, რომ ვინც საპრეზიდენტო არჩევნებში, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალ პროცენტს დააგროვებდა, „ეტალონის“ სეზონსაც ის გახსნიდა. შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა 89% ხმა ქართულ ოცნებას მისცა და საჩხერის მუნიციპალიტეტიც კი უკან ჩამოიტოვა. აქედან გამომდინარე, ბატონმა გოჩამ პირობა შეასრულა და 11 ოქტომბერს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებიდან საუკეთესო მოსწავლეები გადაცემაში მიიწვია. ამ საქმის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და გამგეობის, საკრებულოს და რესურცენტრის თანამშრომლებთან ერთად, ბევრი იშრომა , რათა ღირსეული გუნდი ჩამოეყალიბებინა. ამან თავისი შედეგი გამოიღო და ჩვენმა მოსწავლეებმა ერთ-ერთი წარმატებული თამაში აჩვენეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამ სამ-სამი წარმომადგენელი გამოგზავნა რაიონის შესარჩევ ტურში მონაწილეობისთვის. 42 მოსწავლიდან ათი ძირითადი და ორი სათადარიგო მოთამაშე შეირჩა. გაგაცნობთ მათ ვინაობას: **დავით მინასოვი**-ქ.დედოფლისწყაროს N1საჯარო სკოლა, **მარიამ წიკლაური**-ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა, **დავით ბოსტოღანაშვილი**-სამრეკლოს საჯარო სკოლა, **ნინო ბოლოთაშვილი**-ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა, **მზია კოხტაშვილი**-ოზაანის საჯარო სკოლა, **თამუნა ანთაური**-არხილოსკალოს საჯარო სკოლა, **თორნიკე ახალაური**-ქვემო ქედის საჯარო სკოლა, **მირიან ჩოხელი**-სამთაწყაროს საჯარო სკოლა და **დავით ოზაშვილი**-კერძო სკოლა შპს „ბენაური“.

მოსწავლეების და მათი პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავი გაართვეს საკმაოდ რთულ კითხვებს, რომელიც არა მხოლოდ სასწავლო პროგრამის ცოდნას, არამედ ზოგად განათლებას, ინტუიციას და ლოგიკურ აზროვნებას მოითხოვდა მათგან. მესამე გადამწყვეტ ტურში სამმა მოსწავლემ- **თორნიკე ახალაურმა, მირიან ჩოხელმა** და **თამუნა ანთაურმა** იასპარეზეს. მათგან 20 ქულით **პირველი** ადგილი **თორნიკე ახალაურმა** მოიპოვა, **მეორე** ადგილი წილად ხვდა **მირიან ჩოხელს** და **მესამე** ადგილის მფლობელი გახდა **თამუნა ანთაური**. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. თორნიკეს ჩინური კომპანია „ჰუაევის“ ბოლო მოდელის მრავალმხრივი ფუნქციის მქონე მობილური ტელეფონი გადასცა „ეტალონის“ ერთ-ერთმა სპონსორმა, ებრაული ფირმა „ნეტაფინის“ ხელმძღვანელმა აარონ გაგულაშვილმა. ეს ფირმა წყალმომარაგების და სარწყავი სისტემების(ძირითადად წვეთოვანი რწყვის) დამონტაჟების პროექტებზე მუშაობს. ცნობისთვის გეტყვით, რომ ფირმა ამჟამად ფიროსმანი-სამთაწყაროს 2.000 ჰექტარზე გაწყლოვანების პროექტს ამუშავებს, რაც სულ მალე დასრულდება. პროექტის მონონების შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადდება ტენდერი და დაიწყება ამ დიდი პროეტის განხორციელება, რაც, ერთხელ და სამუდამოდ, ამ საზღვრისპირა ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ზონაში მდებარე სოფლის მოსახლეობას სასიცოცხლოდ წაადგება.

გამარჯვებულმა თორნიკე ახალაურმა მადლობა გადაუხადა „ეტალონის“ ორგანიზატორებს და ისურვა, მრავალი ასეთი საგანმანათლებლო შემეცნებითი პროგრამა დაინერგოს, რათა მოსწავლეებს მასში მონაწილეობის და საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის საშუალება მიეცეთ, რადგან ეს მათთვის მაღალი დონის განათლების მიღების დიდი სტიმულია. თორნიკემ მის მიერ საკუთარ სლოგანად გამოყენებული ზვიად გამსახურდიას გამონათქვამი „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო” , წარმოაჩინა თავისი ხასიათი და მრწამსი, თუ რას ნიშნავს მისთვის, მიზნის მიღწევისთვის ბრძოლა. მადლობა ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედკოლექტივს, ასეთი მოაზროვნე მოსწავლის აღზრდისათვის.

მეორე ადგილის მფლობელს მირიან ჩოხელს გადაეცა ფირმა „პანასონიკის“ საოჯახო ელექტრონული მოწყობილობა, ხოლო მესამე ადგილზე გასულ თამუნა ანთაურს პროექტის ერთ-ერთი მხარდამჭერის „ახალი ნათების“ კომპლექტი ერგო წილად.

გადაცემას სტუდიაში ბევრი გულშემატკივარი ესწრებოდა: მათ შორის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს წარმომადგენლობა და ხელმძღვანელები, მონაწილე მოსწავლეთა კლასის დამრიგებლები, მეგობრები, ოჯახის წევრები და ახლობლები. ასევე მოწვეული საპატიო სტუმრები ჩინეთის საელჩოდან, როგორც მიმდინარე წელს „ეტალონის” პარტნიორები, ცნობილი ბიზნესმენები.

აქ იყო ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი მომღერალი თამარ ჭოხონელიძე, რომელმაც ბავშვებს გამამხნევებელი სიტყვით მიმართა:-მოგესალმებით, მე თქვენი მეგობარი ვარ, რადგან ვხედავ, რომ აზროვნებთ და თქვენ, აუცილებლად გამოადგებით ჩვენს ქვეყანას, თქვენ გიყვართ სამშობლო!

გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მადლობა გადაუხადა ბატონ გოჩა ტყეშელაშვილს, ბავშვებს, გულშემატკივრებს ასეთი ჰარმონიული ურთიერთობისათვის: - მადლობა ბატონ გოჩას იმ დიდი მამულიშვილური საქმის კეთებისთვის, რასაც „ეტალონი“ ემსახურება. თქვენ აგებინებთ ახალგაზრდობას სწავლის უპირატესობას, ასწავლით განათლების მნიშვნელობას, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, დღეს ყველა გამარჯვებულია, მე ვამაყობ თითოეული მათგანით. ჩვენ კარგი მომავალი თაობა გვყვავს, სწავლაზე ორიენტირებული ახალგაზრდობა, რადგან წინ საუკეთესო მაგალითები აქვთ - ჩვენს რაიონში ჩვენს გვერდზე გაიზარდნენ ჩვენი პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც ახლა ქვეყნის პირველი პირია, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და სხვა მრავალი სწავლული და სახელოვანი მამულიშვილი, - თქვა მან.

- დედოფლისწყარო მრავალეთნიკური მუნიციპალიტეტია, მშრომელი და ერთგული ხალხი ცხოვრობს, იციან ცოდნის და სწავლის ფასი და ხელს უწყობენ შვილებს და შვილიშვილებს განათლების მიღებაში, არაერთი წარმატებული დედოფლისწყაროელი საქართველოს მასშტაბით მოღვაწეობს. მადლობა ბატონ გოჩას მოწვევისთვის და ჩვენს ბავშვებს წარმატებული თამაშისთვის, -თქვა თავის კომენტარში საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა.

თამარ თამაზაშვილმა კი, დამსწრეთ გაწეული მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ მოუთხრო.

თამაში შეაჯამა გოჩა ტყეშელაშვილმა: დაპირებისამებრ დღეს ქიზიყით დაიწყო ჩვენი სეზონი, ქიზიყით, რომელიც ერთგულების და თანადგომის სიმბოლოა. მადლობა ბავშვებს, მათ პედაგოგებს, ოჯახებს, სადაც ისინი იზრდებიან და ყალიბდებიან, მადლობა გამგებელს, ნამდვილ მამულიშვილს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს, თამარ თამაზაშვილს, მიხეილ ბახუტაშვილს, კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს და ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში დაგვიდგა პროექტის მომზადებისას. გაიხარეთ და იმრავლეთ ჩემო „თანამემამულენო!” მეც ხომ დედოფლისწყაროს მოქალაქე გავხდი, მადლობა ასეთი პატივისთვის.

გადაცემა დააგვირგვინა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერების შემსწავლელი სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ქიზიყი“. გელა გველუკაშვილის ლოტბარობით მათ შეასრულეს „კახური შაირები“ და მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

ნაირა გორაშვილი

მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში „ყველაზე ჭკვიანის“ სეზონი დაიწყო

17 ოქტომბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან სულ რამოდენიმე კვირის შემდეგ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ინტელექტუალური კონკურსის „ყველაზე ჭკვიანის“ სეზონი დაიწყო. ამჯერად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ N1, N2, სამრეკლოს, ხორნაბუჯის და ვახტანგ გორგასლის სახელობის ახალი სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები. კონკურსში მონაწილე ბავშვები ზეპირი გამოკითხვის შედეგად შეარჩია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგმა თამარ ლაპიაშვილმა. კონკურსი სამი ტურის შედეგებით შეფასდა, ხოლო ამის შემდეგ გაიმართა გუნდის კაპიტნებს შორის ინდივიდუალური შეჯიბრება.

დარბაზში მშობლებისა და გულშემატკივრების ოვაციები არ ცხრებოდა, ჟიური, როგორც ყოველთვის, ობიექტური იყო და ცდილობდნენ, უფრო მეტადაც კი წაეხალისებინათ ბავშვები. პირველ ტურში N1 საჯარო სკოლის გუნდი „არწივები“ გამოირჩეოდა აქტიურობით, მას კვალდაკვალ მხარს არ უგდებდა ხორნაბუჯის შევარდენი, რომელმაც მეორე ტურის ბოლოს ერთი ქულით გაუსწრო, შემდეგ კი საბოლოო გამარჯვება მოიპოვა და პირველ ადგილზე გავიდა, მეორე ადგილს დასჯერდა N1 საჯარო სკოლის „შევარდენი“,მესამე ადგილზე N2 სკოლის გუნდი „კურდღლები“ გავიდა, მეოთხეზე სამრეკლოს მერცხლები, მეხუთე ადგილზე ახალი სკოლის გუნდი“სამება“. ინდივიდუალურ კონკურსში საბოლოოდ ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ N1 საჯარო სკოლის „არწივის“ და გუნდ „შევარდენის“ მეოთხეკლასელები, თუმცა, საბოლოო გამარჯვება აქაც ხორნაბუჯის „შევარდენის“ მონაწილე სალომე ნასრაშვილს ხვდა წილად.

კონკურსი დარბაზში მსხდომთა და მონაწილეთა აპლოდისმენტების თანხლებით მიმდინარეობდა, წლის დასაწყისისთვის განწყობა მეტად ამაღლებული და დიდი სტიმულის მომცემი იყო, სამომავლოდ უფრო ფართომასშტაბიანი და ხშირი ინტელექტუალური ღონისძიებების მოწყობისათვის.

ელზა ხარაშვილი

ქალები საქართველოში

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ძალიან მარტივადაა, ქალი და მამაკაცი თანასწორია. ქალი ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების მატარებელია, ინტეგრირებულია, რეალიზებული.. ან იქნებ სულაც არ არის ასე?

ევროპული სივრცის ბუნებრივ ნაწილად მივიჩნევთ თავს ქართველები, ცოტათი გვწყინს კიდევაც ამის მტკიცება და ევროპაში დამკვიდრებისთვის ბრძოლა რომ გვინევს!

სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა, თუმცა, ამაზე ხმამაღლა საუბარს დიდი გამბედაობა სჭირდება.. სინამდვილეში საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია და საუბედუროდ, ეს მხოლოდ ფიზიკური ძალადობის სტატისტიკაა! ქალები საქართველოში და „ქალები საქართველოდან“ ფსიქიკური ძალმომრეობის, შიშის, ტერორის ქვეშ ცხოვრობენ.. ქალზე ძალადობს ყველა - მეუღლე, მამა, ძმა, შვილი.. ქალს მარადიული მოთმინება, მორჩილება, „უფროსის“, „დიდი ძმის“ პატივისცემა მართებს და იმ შემთვევაშიც - თუ საპასუხოდ არასდროს ღებულობს არც პატივისცემას, არც მადლიერებას და არც სიყვარულს..

საქართველოში თანამედროვე საზოგადოება ათწლეულებია მახინჯი, გაუგებარი სტერეოტიპების მოჯადოვებულ წრეზე ტრიალებს. ეს ის ქვეყანაა, სადაც მამაკაცის მიერ ქალის ღალატი ჩვეულებრივ ამბად აღიქმება, ქალის ღალატი კი - ყველაზე დიდ ამორალობად! უფრო მეტიც, ქვეყანა, სადაც დიდი ხანია სარწმუნოებისა და ტრადიციების გაუგებარი ნაზავის შედეგად, გაუგებარი ფსევდორელიგიური კლიშეების თანახმად, ქალის ღალატი უფრო მძიმე ცოდვად ითვლება, ვიდრე მამაკაცისა, არადა, ბიბლიური სწავლება ასეთი სულაც არ არის, თუმცა, ამაზე მეტს აღარ გავაგრძელებ..იმიტომ არა, რომ მამაკაცებზე კრიტიკული აზრის გამოხატვისგან ვიკავებ თავს, შორს წაგვიყვანს ამ თემაზე საუბარი.

ქალთა უმრავლესობას საქართველოში განცდა არ აქვს, რომ ცალკე, როგორც ინდივიდს რაიმე გააჩნია, მაშინ როდესაც ასე სულაც არ ფიქრობენ მამაკაცები.. ჩვენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, სადაც ქალებს კლავენ იმის გამო, რომ უარს ამბობენ ქმრებზე, წარსულ ცხოვრებაზე.. იმ ქვეყნისა, სადაც საზოგადოება მოღალატე ცოლის მკვლელის მიმართ ლოიალურია, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალმა ღალატი გაბედა! წარმოუდგენელია, შიშველი რეალობის აღქმა, აღქმა იმისა, რაოდენ სასტიკი ან რეფლექსურია უმრავლესობა! საშინელებაა იმის გააზრება, რომ მოძალადე მამაკაცი „კარგ კაცად“ მიიჩნევა და უმრავლესობა მეზობელ სახლში გაგონილ კივილზე სრულიად ინდიფერენტულია „ეს საქმე მე არ მეხებას“ მოტივით.. არადა ამ სასტიკ კონფორმიზმზე უარესი, დამღუპველი არაფერია.. თუ რამეს შეუძლია, მომავალი, პერპექტივა მოუკლას საზოგადოებას, ერს, ინდივიდს, სწორედ გაუგებარი შემგუებლობაა ძალადობის, ჩაგვრის მიმართ...

ქალები? ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა ათასწლეულებს ითვლის! და ამ ბრძოლაში ყველაზე საშიში ისევ ქალთა რწმენაა, უფრო სწორად, ურწმუნოება საკუთარი ნების თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ოცნებების, იდეების განხორციელების...

აღმოსავლურ კულტურებში ქალთა უმრავლესობა, საკუთარი თავის, როგორც ინდივიდის იდენტიფიცირებას საერთოდ ვერ ახდენს, ანუ, ისე ასრულებს ცხოვრებას, არც კი იცის, რა უნდა, რა შეუძლია, რაზე ოცნებობს, რისთვის მოვიდა და სად მიდის.. მან იცის ის, რაც უნდა იცოდეს, რაც შთააგონეს და დაიჯერა.. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალები მუშაობენ, აქვთ საკუთარი შემოსავალი, ზრდიან შვილებს, არიან მეუღლეები, კითხვაზე - თუ ვინ არიან, მყისვე გაცემული პასუხის შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ცოლები არიან, დედები, და შემდეგ ისინი, ვინც სინამდვილეში.. სწორედ ამ არაკმარი თვითგანცდის გამო, მამაკაცებს, რა სტატუსიც უნდა ჰქონდეთ ქალის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, სჯერათ, რომ ქალები მათ საამებლად, მათი კომფორტისთვის შექმნილი არსებები არიან. ასეთია მათი რეალური დამოკიდებულება და რწმენა, და ეს ასეა იმის მიუხედავად, როგორი პათოსით, გამთბარი თვალებითა და ტკბილად მოუბარნი ან მუხლმოდრეკილნი სვამენ მანდილოსნების სადღეგრძელოებს!

ბუნებრივია, მჯერა, რომ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია, მჯერა, რუსთაველის სამშობლოში მამაკაცებს თანასწორობის თუ არა, არაძალადობის იდეისთვის მაინც აქვთ მზაობა და შესაბამისი მონდომება.. ასევე, გულწრფელად მჯერა, რომ ზოგიერთი მუხლმოდრეკილი მართლაც თანასწორად მიიჩნევს მანდილოსანს, პატივს სცემს და უყვარს ის, ოღონდ არა როგორც მის ნეკნზე „დაშენებული“...

ეს წერილი არც ფემინისტური ბაირაღია და მით უფრო, არც ზიზღის გამოხატვა მამაკაცების მიმართ, პირიქით, შეუძლებელია, ვინმეს ჩაგვრის მიმართ პროტესტი გქონდეს და ადამიანი, როგორც მოვლენა, არ გიყვარდეს..ბანალურია, მაგრამ ვფიქრობ, რომ სიყვარულის ყველაზე ბუნებრივი და სასარგებლო გამოხატულება კრიტიკაა და არა ხოტბა ან სიჩუმე!

სალომე ნატროშვილი

P.S. 17 ოქტომბერს კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფილი მეუღლის მიერ დაჭრილი ლექტორი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მაკა წივწივაძეს გადაუდებელი ოპერაცია უტარდებოდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ილიას უნივერსიტეტის ინგლისური ენის ლექტორი დღეს უნივერსიტეტში ყოფილმა ქმარმა ყელის არეში დაჭრა, შემდეგ კი მამაკაცმა თავი მოიკლა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი ლექციაზე იმყოფებოდა, როდესაც მას ყოფილი ქმარი მიუვარდა, დერეფანში გამოიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

გოგონას დედის ინფორმაციით, მისი შვილი მეუღლეს 1 თვის წინ დაშორდა და მას შემდეგ ყოფილი ქმარი მუდმივად ემუქრებოდა. ამასთან დაკავშირებით მაკა წივწივაძემ პოლიციას არაერთხელ მიმართა, მაგრამ როგორც გარდაცვლილის დედა ამბობს, სამართალდამცავებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ.

მისივე ინფორმაციით, წივწივაძის ყოფილი ქმარი ორჯერ ნასამართლევი და ამნისტირებული იყო.

ამ ფაქტს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის პარლამენტარი ეკა ბესელია და სახალხო დამცველი. მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაზე ადექვატური თამარ ბაგრატიას პოზიცია იყო:სანამ კითხვას - რა უნდა გაკეთდეს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად - არ შეცვლის თითოეული მოქალაქე კითხვით - რა უნდა გავაკეთო - პრობლემას ვერ აღმოვფხვრით.

იმედია, დღევანდელი ფაქტი იქნება უკანასკნელი “მწარე გაკვეთილი” ყველასთვის - ვისაც ეხება და არ იმოქმედა, ვისაც ესმოდა ტკივილი და არ უშველა, ვისაც უნდა ეშველა და გულგრილობა გამოიჩინა, ვისაც გვესმოდა და არ გავიგონეთ!- წერს თავის „ფეისბუკის“ გვერდზე ექსპერტი გენდერულ საკითხებში თამარ ბაგრატია.

ინგა შიოლაშვილი

მთავრობა ჰერელ ქართველებს სავიზო რეჟიმის გამარტივებას პირდება

საქართველოში სასწავლებლად და სამუშაოდ მყოფ ინგილოებს, ახალმა სავიზო რეგულაციებმა, საქმიანობის მიტოვებისა და საინგილოში დაბრუნების საფრთხე შეუქმნა. ისინი ვიზის აღების რთული და ძვირადღირებული პროცედურების გამარტივებას ითხოვენ. იუსტიციის მინისტრი ახლადმიღებული კანონის ხარვეზს აღიარებს და საინგილოში მცხოვრები ქართველებისთვის „თანამემამულის“ სტატუსის მინიჭების ინიციატივით გამოდის, რაც მისი აზრით, ვიზების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს მოხსნის.

2014 წლის 1-ელი სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. კანონის თანახმად, საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა შემცირდა და 360 დღის ნაცვლად, 180-დღიან პერიოდში 90 დღით განისაზღვრა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოში დარჩენის მსურველ უცხოელებს ვიზის აღება მოუწევთ.

„ჩემი შვილი სტუდენტია და სამი თვე რომ იქნება საქართველოში, მეტხანს დარჩენის უფლება აღარ აქვს, უნდა დაბრუნდეს კახში, შეაგროვოს საბუთები, წავიდეს განჯაში, მიიტანოს ეს საბუთები და ერთი თვის შემდეგ გაიცემა მასზე ვიზა. მერე გადაკვეთს საქართველოს საზღვარს და სწავლის ან მუშაობის ერთწლიან ბინადრობის უფლებას მიიღებს, ასე გვითხრეს საკონსულოში. ამასთან, რომელიმე სადაზღვევო კომპანიიდან უნდა აიღოს ჯანმრთელობის დაზღვევის ცნობა, რომელიც 100—120 ლარი ღირს. ყველაზე მთავარი, რომელიმე ბანკში ანგარიშზე უნდა გქონდეს 5 000 ლარი. საიდან ამდენი, თან ამდენი დროა საჭირო“, — განაცხადა

კახის საჯარო სკოლის მასწავლებელმა **ემზარ სუყაშვილმა.**

მისი თქმით, გულსატკენია, რომ ახალი რეგულაციები საინგილოში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველებზეც ისევე გავრცელდა, როგორც უცხოელებზე.

„შოვინისტი არავინ არის, მაგრამ ყველას რომ გაუტოლეს ჩვენი თავი, ეს გვწყინს. ეს კანონი როგორც უცხოელებზე, ისე მოქმედებს ჩვენზეც, ქართველებზე. რატომ არ გაითვალისწინეს იუსტიციის და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა, ან პარლამენტმა როგორ მიიღო ეს კანონი ისე, რომ ერთხელაც არ დაფიქრდნენ, რომ საინგილოში მცხოვრებ ქართველებს სხვა სამშობლო არ გააჩნიათო. ჩვენი ხალხი მანდ სწავლობს და მუშაობს. ახლა სამსახურიდან გამოყრა ემუქრებათ და ამით რას მოიგებს საქართველო? ბაქოში, თურქეთში, რუსეთში წავლენ“, — აღნიშნა სუყაშვილმა.

საინგილოდან თბილისში სასწავლებლად 1000—ზე მეტი ახალგაზრდაა წამოსული. მათი დიდი უმრავლესობა ქირით ცხოვრობს.

თეო ზურაბაშვილი, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს, ამბობს, რომ თუ სავიზო რეგულაციები არ შეიცვალა, მეოთხე კურსზე სწავლის შეწყვეტა და სტუდენტ დასთან ერთად კახში დაბრუნება მოუწევს.

„საიდან უნდა ჰქონდეს სტუდენტს ამხელა თანხა? ჩვენი მშობლები არ მუშაობენ, სოფლის მეურნეობას მისდევენ. ხელისუფლებას ვთხოვთ, ნუ გაგვაიგივებს უცხოელებთან, ჩვენც ისეთივე ქართველები ვართ, როგორც საქართველოში მცხოვრები ქართველები. თუ ვიზას არ გააუქმებენ, ეს 5 000 ლარი მაინც მოგვიხსნან“, — ამბობს **თეო ზურაბაშვილი.**

სოფო ოთარაშვილი, რომელიც თბილისში კერძო კომპანიაში მუშაობს, ამბობს, რომ სტუდენტ ძმასთან ერთად, ისედაც ძალიან ხელმომჭირნედ ცხოვრობს და დამატებითი ხარჯების დაფარვა შესაძლოა ვერ მოახერხოს.

„განჯაში ორჯერ ჩასვლა 300 ლარი მაინც ჯდება. თანხას რომ თავი დავანებოთ, დროის სერიოზული პრობლემა იქმნება. განჯაში აუცილებლად სამუშაო დღეებში უნდა ჩავიდეთ“.

საინგილოში ახალი სავიზო რეგულაციების გამარტივების მოთხოვნით 650 ხელმოწერა შეაგროვეს, რომელიც შესამაბის სამინისტროებსა და უწყებებს გაეგზავნა.

„გთხოვთ, მოგვცეთ საქართველოში ყოველი შემოსვლისას 90 დღით დარჩენის უფლება, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა და კვლავ საქართველოში დაბრუნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თუნდაც თანამემამულის მოწმობის გამოყენებით. საქართველოსთან მიმოსვლის გამარტივება ხელს შეუწყობს ჩვენს ინტეგრაციას ისტორიულ სამშობლოსთან, რასაც ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს“, — აღნიშნულია მიმართვაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ პრობლემების შესახებ საქმის კურსში არიან და ამ საკითხზე მუშაობენ.

„იუსტიციის მინისტრის, **თეა წულუკიანის** განცხადებით, ინგილოებისთვის თანამემამულის სტატუსის მიღების შემთხვევაში, მათ კანონით გათვალისწინებული იმ პროცედურების გავლა აღარ მოუწევთ, რასაც უცხოელები გადიან.

„ისინი, ვინც მიიღებენ თანამემამულის სტატუსს, შეეძლებათ მოითხოვონ ბინადრობის ნებართვა აქ ყოფნის პირობებში ისე, რომ არ დასჭირდეთ თავიანთი მოქალაქეობის ქვეყანაში დაბრუნება, ვიზის კატეგორიის შეცვლა და არ მოუწევთ არც 30 დღეში წინ და უკან სიარული. თანამემამულის სტატუსს დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციის საფუძველზე ჩვენ ვანიჭებთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, მაგრამ არიან ჩვენი სისხლი და ხორცი“, - განაცხადა თეა წულუკიანმა გადაცემა ტელეკომპანია „რუსთავი 2“—ის გადაცემა „არჩევანში“.

პოეზიის ჯვრის მტვირთველი

„დავიბადე ქიზიყის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ არბოშიკში. ლექსის სენი და გემო აქვე დავაჭაშნიკე. ღვიძლი სოფლის მთა-ბარმა, კეთილმა ადამიანებმა აანთეს და გააღვივეს ჩემს გულში დედასამშობლოს-საქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარული.

ჩემი ლექსის სტრიქონები დარდ-სევდიანია და ცრემლებითაა გაჟღენთილი, რაც გამოწვეულია კოჟანდარა ვაჟიშვილის ტრაგიკული სიკვდილითა და ძვირფასი ახლობელი ადამიანის დაკარგვით, აგრეთვე სამშობლოს მოურჩენელი ტკივილებითა და ჭრილობებით“-ამბობს პოეტი ჯუმბერ უთრუთაშვილი თავისი ახალი წიგნის „გოლგოთა“ წინასიტყვაობაში. მისი პოეზია გამოირჩევა გასაოცარი სიალალით, გულწრფელობით, რომელიც ხშირად დაუფარავად გვიამბობს ავტორის არა მხოლოდ ცხოვრების ეტაპების შესახებ, არამედ მის განცდებსაც გვამცნობს, რომლებიც ზოგჯერ ძალიან პირადულია, ზოგჯერ კი სამშობლოს ბედით შეწუხებული ადამიანის ნაფიქრალი, თანამედროვე პრობლემებზე ლექსის ენით მოლაპარაკე...

რამდენიმე დღის წინ მისი რიგით მეოთხე კრებულის „გოლგოთა“ პრეზენტაცია გაიმართა ხელოვნების სკოლის სააქტო დარბაზში. „ჯუმბერ უთრუთაშვილს გულში ჩამწვდომი პოეზია აქვს, გვიხარია, რომ მისი თანამედროვენი ვართ“-ამ სიტყვებით გახსნა საღამო კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა.

ჯუმბერ უთრუთაშვილს ახალი კრებულის გამოსვლა მიულოცეს თანამოკალმეებმა: ლევან ალავერდაშვილმა, ნატო ყატაშვილმა, თამაზ წიკლაურმა, თამარ ლობჯანიძემ, გიორგი ნატროშვილმა, ზაურ გონაშვილმა... ზაურმა ექსპრომტიც უძღვნა მას:

“ლექსი შენი სიხარული, ლექსი შენი მიზანი,ალბათ ასე იყო შოთა, ასე იყო ნიზამი“.

პოეზიის საღამოზე ჯუმბერ უთრუთაშვილის პოეზიაზე ისაუბრეს დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „დღევანდელი დღე პოეზიის დღესასწაულია დედოფლისწყაროში. შემოქმედება, ეს სულიერი ღირებულებაა და თუ ეს ასე არ იქნება, ჩვენ სულიერად გარდავიცვლებით. გამგეობა ვცდილობთ და მომავალშიც ვეცდებით, მხარში დავუდგეთ ნიჭიერ ადამიანებს. „მე ადამივით არ ვიცი შური“-ლექსის ეს სტრიქონი მის სულიერ სამყაროს მშვენივრად აღწერს“-განაცხადა თამარ თამაზაშვილმა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა პოეტს შემოქმედებითი წარმატებები უსურვა და ჩვენი ქვეყნის კულტურული წარსული და აწმყოც მიმოიხილა: „საქართველო პატარა ქვეყანაა, შემოქმედება ყოველთვის მწირი შემოსავლებით ხასიათდებოდა და ამ სფეროს წარმომადგენლები მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. ასეა დღესაც. თუმცა ადგილობრივი ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ სულიერებას დიდი დატვირთვა აქვს, სულიერი საზრდო ყველას სჭირდება და ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ის პრიორიტეტული უნდა იყოს“.

პოეტური კრებულის გამოცემაში ლომის წვლილი მიუძღვის გამომცემლობა „პირველის“ დირექტორს ზაზა გამგებელს, რომელიც, უკვე სამი წელია, წელიწადში ორი დედოფლისწყაროელი პოეტის წიგნს უსასყიდლოდ გამოსცემს. როგორც მან აღნიშნა, სამი წლის განმავლობაში ეს მის მიერ გამოცემული რიგით მეშვიდე წიგნია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პირობა არ დარღვეულა.

საღამოს დასასრულს მთავარი მოქმედი გმირიც გამოვიდა სიტყვით: „მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ამდენი საღად მოაზროვნე ადამიანი შეიკრიბა ჩემს პოეზიის საღამოზე. ყველა შემოქმედს ვუსურვებ, რომ მუზამ არასოდეს მიატოვოს და თავისი შემოქმედების დამნახავი ჰყოლოდეს“. დამნახავი და დამფასებელი კი დედოფლისწყაროში მის პოეზიას ნამდვილად ჰყავს. სწორედ ეს ფაქტორი უმსუბუქებს პოეტს თავისი მძიმე ჯვრის ტარებას...

ინგა შიოლაშვილი

ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“

ამ დღეებში გაიმართა ასოციაცია „წითელწყაროელთან“ არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კლუბის პირველი შეკრება. კლუბში გაერთიანების მსურველთა ასაკი შეზღუდული არ არის, მაგრამ დღეისათვის მასში მხოლოდ სკოლის ასაკის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. ეს უფლება მათ კონკურსში გამოვლენილი ცოდნის მიხედვით დაიმსახურეს. კონკურსის შედეგების მიხედვით გამოვლინდნენ არა მარტო წევრები, არამედ, წევრობის კანდიდატებიც. შეხვედრაზე ყველა მათგანი მოვიწვიეთ.

რადგანაც გვინდა, რომ ჩვენმა შეხვედრებმა „ვეფხისტყაოსნის“ ცოდნისა და სიყვარულის გარდა, მონაწილეთა მიერ რაიონის შესწავლასაც შეუწყოს ხელი, დამატებით, გადავწყვიტეთ პირველად ვაშლოვანის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის გაცნობა ვაშლოვანის ადმინისტრაციული შენობის ფარგლებში არსებული შესაძლებლობებით. ვაშლოვანის ეროვნული პარკის დირექტორმა, მერაბ ფიროსმანაშვილმა სიამოვნებით დაგვითმო საკონფერენციო დარბაზი და მთელი ადმინისტრაციული შენობის სივრცეც, რის გამოც ყველა მონაწილის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებთ.

შეხვედრა საკმაოდ წარმომადგენლობითი აღმოჩნდა, — ესწრებოდა 11 წევრი, 6 — წევრობის კანდიდატი, მათი პედაგოგები და მშობლები, ესწრებოდა, ასევე, ვაშლოვანის ეროვნული პარკის უფროსი სპეციალისტი დალი თავდიდიშვილი. მოწვეული გვყავდა, ასევე, რაიონის განათლების სისტემის ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი, ყოფილი განათლების განყოფილების გამგე, ზემო ქედისა და არბოშიკის საშუალო სკოლების ყოფილი დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ქალბატონი ნინო ბოსტოღანაშვილი.

შეხვედრის დასაწყისში გავიცანით ერთმანეთი. თითოეულმა თავის გვერდით მჯდომი გაგვაცნო, რამაც ყველა უფრო დაახლოვა ერთმანეთს და შეხვედრის უფრო უშუალოდ და თბილად წარმართვას შეუწყო ხელი. მინდა, ჩვენს მკითხველსაც გავაცნო ისინი, რადგანაც მათ ბევრი იშრომეს, უყვართ ჩვენი მშობლიური ქართული და ჩვენი დიდი საუნჯე „ვეფხისტყაოსანი“. ესენი არიან:

ჯეთერიშვილი სოფიო, მახარაძე თამუნა, კაიშაური თამარ, მეხრიშვილი ნინო, თარაშვილი სალომე, ქამაშიძე ლევან, ჭაღალიძე გიგა, სურმანიძე მირანდა, ირემაძე მარიამ, ტოხიშვილი მარიამ, ხატიაშვილი ნიკოლოზ, ხარხელაური ნიკოლოზ, ლოსეურაშვილი თამარ, ბუბუნაური მაკა, გურასპაული თინათინ, ტოკლიკიშვილი ოთარ, ისმაილოვა მალვინა და შარმაზანაშვილი ეთერ.

აღმოჩნდა, რომ კონკურსიდან ამ შეხვედრამდე მოსწავლეთა უმეტესობას კარგად უმუშავია, ქვემო ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეს ნიკა ხარხელაურს იმდენი უსწავლია, რომ კანდიდატი იყო და კლუბის წევრი გახდა, ზაფხულის განმავლობაში კიდევ 165 სტროფი უსწავლია დ/წყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეს სოფიო ჯეთერიშვილს, 40 სტროფი დაუმატებია მირანდა სურმანიძეს /12 წლის/, 52 სტროფი — ლევან ქამაშიძეს /10 წლის/, ასევე, თამარ ლოსეურაშვილს, ნინო მეხრიშვილს და სხვებს. ყველა მათგანი ახალი გეგმებით და განზრახვებით მოვიდა შეკრებაზე. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვები მუშაობენ ხალისით და ასევე, დიდი ინტერესით არიან ჩართული მუშაობაში მშობლები და მასწავლებლები.

შეხვედრის გეგმაში იყო ორგანიზაციული საკითხიც. კლუბის წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს სოფიო ჯეთერიშვილი, მოადგილედ — სალომე თარაშვილი.

კლუბის წევრებმა მიიღეს მომდევნო დავალებები, რომელთა შესახებაც მათი განხორციელების შემდეგ მოგიყვებით.

შეხვედრის დასასრულს ბავშვებს მიესალმა, განაზრახი მოუწონა და წარმატებები უსურვა ქალბატონმა ნინო ბოსტოღანაშვილმა.

კლუბის მუშაობის დამთავრების შემდეგ ქალბატონი დალი თავდიდიშვილი ბავშვებს ესაუბრა ვაშლოვანის ეროვნული პარკის შესახებ და ყველა მონაწილე მიიწვია საექსპოზიციო დარბაზში, რომლის დათვალიერების შემდეგაც გვაჩვენეს ფილმი. ამ ფილმით გაგვაცნეს ვაშლოვანის ულამაზესი ადგილები, მისი განუმეორებელი ფლორითა და ფაუნით. იქ მყოფთა უმრავლესობამ პირველად ნახა და ბევრისთვის აღმოჩენა იყო ის, რომ ეს ყველაფერი ჩვენი რაიონის ტერიტორიაზეა, სულ ახლოს და მისი ნახვის სურვილიც აქვე გამოითქვა. მშობლებმა გადაწყვიტეს, უმოკლეს ხანში ეს ყველაფერი აჩვენონ თავის შვილებს.

ასე დამთავრდა ჩვენი კლუბის პირველი შეხვედრა. მონაწილეები ახალი ცოდნითა და ემოციებით დატვირთულები დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ეთერ ფიცხელაური
ასოციაცია „წითელწყაროელის“ თავმჯდომარე

დაკარგული ფიროსმანი

(პირველი გვერდიდან)

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხატვრის საფლავის მოძებნის იმედი საბოლოოდაა გადაწურული. ხელოვნებათმცოდნე ეკა კიკნაძის თქმით, ეროვნულ არქივში ინახება წმინდა მიხეილის საავადმყოფოს რეგისტრაციის ჟურნალი, რომელშიც გაკეთებული ჩანაწერი, მაღალი ალბათობით, ნათელს ჰფენს ნიკო ფიროსმანის როგორც გარდაცვალების თარიღს, ასევე გარდაცვალების მიზეზს:

„აქ წერია 1918 წელი, 04.05, ანუ 4 მაისი. შემდეგ რუსულად წერია: ავადმყოფი. უცნობი. რომ აქვს ფილტვების შეშუპება და რომ არ არის გონზე და არ შეუძლია თქვას საკუთარი გვარსახელი და ამიტომ გატარებულია როგორც: „мужчина неизвестного звания“.



ეკა კიკნაძის თქმით, სწორედ ეს დოკუმენტი მიიჩნევა ფიროსმანის გარდაცვალების ცნობად:

„ჩვენ გვაქვს მოგონება მისი მეზობლისა, რომელიც ამბობს, რომ ზუსტად აღდგომის პერიოდში შეაკითხა ნიკალას კიბის ქვეშ, სადაც ის ცხოვრობდა და ნახა, რომ იყო ძალიან ცუდად. ძლივს ლაპარაკობდა, ჰქონდა მაღალი სიცხე და ამის გამო გამოიძახა სასწრაფო - ცხენებშებმული დროგი, რომელმაც წაიყვანა საავადმყოფოში, თუმცა ზუსტად არ იცოდა, რომელში. გარკვეული დროის შემდეგ, როცა მკვლევარები დაინტერესდნენ და შეამოწმეს იმ დღეებში საავადმყოფოების მისაღებ ჟურნალებში გაკეთებული ჩანაწერები, მიხეილის საავადმყოფოში მიაკვლიეს ცნობას, რომელიც, მაღალი ალბათობით, გახლავთ ფიროსმანის გარდაცვალების ცნობა“.

წმინდა მიხეილის ეკლესიის წიგნისა და კუკიის სასაფლაოს ჩანაწერების საფუძველზე, ისტორიკოსი მანანა ხომერიკი ამტკიცებს, რომ მხატვარი არა 1918 წელს, არმედ 1919 წლის 4 მაისს, აღდგომის ღამეს, გარდაიცვალა და დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე, თუმცა ამ ვერსიას არ იზიარებს მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი, როგორც წესი, ეყრდნობიან ფიროსმანის თანამედროვის, ვასილ ჩაჩანიძის ნაამბობს, რომლის მიხედვითაც, ფიროსმანის გვამი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ვინმე „პაჭუა მიშას“ მიუტანია. ჩაჩანიძე იხსენებს:

„მიშამ მითხრა: „ვასო, იცი, საწყალი ნიკალა მომკვდარა და უპატრონოდ ვასაფლავებთო.“ ვუთხარი, თუ არ დაგიმარხია, მაჩვენე-მეთქი. მიშა კარგად იცნობდა ფიროსმანს, რადგან მისი ხაზეინის (საღებავებით მოვაჭრე პოპოვის) მუშტარი იყო. მან ერთ-ერთ შეუღებავ კუბოს ახადა თავი და მაჩვენა ფიროსმანი. იგი ძალზე გამხდარი იყო და ყვითელი ფერი ედო“.

1982 წელს ვასილ ჩაჩანიძის ძმას, 92 წლის დავით ჩაჩანიძეს, ჟურნალისტი ნელი კობიაშვილი ესაუბრა. სწორედ მან უამბო ფიროსმანის ცხოვრების მკვლევარს მხატვრის დასაფლავების შესახებ.

კუკიაზე ერთხელ მინიშნებული საფლავი გათხარეს. ეს იყო ეკლესიასთან ახლოს, მაგრამ საფლავი აღმოჩნდა ქალისა. ამდენად, იმ ვერსიამ არ გაამართლა ...



ნელი კობიაშვილი

„იგონებდა, რომ შეესწრო დასაფლავებას პეტრე-პავლეს სასაფლაოს მარჯვენა კედლის გარეთ, სადაც მიასვენეს საავადმყოფოდან. იქვე იყო მღვდელი ალექსი სამადალაშვილი, რომელმაც წესი აუგო ჩაჩანიძეების თხოვნით. დაკრძალვისას ეცვაო საღებავებით მოსვრილი ტანსაცმელი. ამის შემდეგ დავიწყე ძიება და რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს საისტორიო არქივში ვნახე ასეთი ჩანაწერი პეტრე-პავლეს სასაფლაოს წიგნში: 14 აპრილით არის დათარიღებული უცნობი ნიკოლოზ. ამ სვეტის ბოლოს ჩანაწერს ხელს აწერს სწორედ მღვდელი ალექსი სამადალაშვილი“, ამბობს ნელი კობიაშვილი.

თუმცა, ამის მიუხედავად, ნელი კობიაშვილი იმასაც ამბობს, რომ გადაჭრით შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რომელ სასაფლაოზეა დაკრძალული მხატვარი:

„იმთავითვე, როცა გარდაიცვალა ნიკალა და ორი წლის შემდეგ მას უკვე ეძებდნენ, გაჩნდა ორი ვერსია: კუკია და პეტრე-პავლეს სასაფლაოები. კუკიაზე ერთხელ მინიშნებული საფლავი გათხარეს. ეს იყო ეკლესიასთან ახლოს, მაგრამ საფლავი აღმოჩნდა ქალისა. ამდენად, იმ ვერსიამ არ გაამართლა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფიროსმანის საფლავი მაინცდაიმაინც პეტრე-პავლეზე ან კუკიაზეა“.

მისი თქმით, საჭიროა იმ ადგილზე გათხრების ჩატარება, რომელიც დავით ჩაჩანიძემ მიუთითა, ანუ სასაფლაოს მარჯვენა კედლის გარეთა მხარეს, სადაც უპატრონო მიცვალებულებს ასაფლავებდნენ. გათხრების აუცილებლობის შესახებ საუბრობს მწერალი გიორგი კაკაბაძეც:

„ჩვენ - თქვენ და მე - არ შეგვიძლია მივაკვლიოთ ფიროსმანის საფლავს, მაგრამ სახელმწიფოს, თუკი კეთილ ნებას გამოიჩენს, ეს შეუძლია. საჭიროა იმ ადგილის მონიშვნა (პირობითად, 100 მეტრი 100 მეტრზე) და არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. ეს შესაძლებელია, თუკი სახელმწიფო ამას მოინდომებს, და ჩვენ გვექნება ნიკო ფიროსმანის საფლავი და არა ის კენოტაფი, რომელიც მთაწმინდაზეა: სასაფლაო ნეშტის გარეშე“.

ფიროსმანის სიმბოლური საფლავი მთაწმინდაზე.

მთაწმინდის პანთეონში ფიროსმანის კენოტაფი რამდენიმე წლის წინ გაკეთდა ფიროსმანის მუზეუმისა და თბილისის მერიის ძალისხმევით. ღობის კედელსა და ილია ვეკუას საფლავს შორის მდებარე მიწის ვიწრო ზოლს, რომელიც უბრალო საფლავის ქვით სრულდება, სხვა საფლავებთან ერთად, პანთეონის თანამშრომელი ოთარ გაგუა უვლის:

„ჯერჯერობით ნიშა არის გაკეთებული. დევს მემორიალური დაფა, დაბადებისა და გარდაცვალების აღმნიშვნელი თარიღებით. თუ ვინმეს ეკუთვნის მთაწმინდაზე საფლავი, მათ შორის, ფიროსმანსაც! ჯერ ერთი, იმიტომ რომ ხალხიდან გამოსული ადამიანი იყო, მერე კიდევ, ხალხური განათლება ჰქონდა მიღებული და გენიოსი იყო“.

მთაწმინდაზე ფიროსმანის სიმბოლური საფლავის კეთილმოწყობა დასრულდა, რაც შეეხება ნამდვილ საფლავს, ის კვლავ დაკარგულია და მის მოძიებას, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგი არავინაა, ფიროსმანის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ავბედითობით, გაურკვეველი მიზეზები უშლის ხელს.

ხსოვნა

ინგა ნატროშვილი

20 ოქტომბერს 44 წლის გახდებოდი, გავიდა ხუთი თვე და 20 დღე მას შემდეგ, რაც შენი სპეტაკი სული მარადიული სასუფევლის მკვიდრი გახდა, ჩვენთან აღარ ხარ. წახვედი და თან წაიღე ყველა ახლობლის ცრემლის წვიმა. დრო ვერაფერს აკლებს შენს მონატრებას.

ვაი, რომ დედის გულმა, მწარე მოთქმამ და ძახილმა სიცოცხლე ვერ დაგიბრუნა, ვერც ქმარ-შვილის და ვერც ძმის ტირილმა აუთრთოლა გული სიკვდილის ანგელოზს, შენი სიცოცხლე ხელში რომ ეჭირა შენს თვალებში ჩაბუდებულ სევდას,რომ ვერ გამჩნევდით, იქნებ გრძნობდი სიკვდილს, მაგრამ იყავი გულადი, ამაყი, კარგი ოჯახისშვილი, ალალი, კეთილი, ნიჭიერი პედაგოგი, მუსიკოსი, მომღერალი, კარგი მეუღლე და ძვირფასი დედა. ყველაფერი დადებითი გქონდა. ნუთუ ამ წუთისოფელში შენი ადგილი არ იყო? ამბობენ ღმერთს თავისი რჩეული ჰყავსო, შენ ყოფილხარ მისი რჩეული შვილი.

ცივ სამარეში გილოცავთ დაბადების დღეს, აგინთებთ 44 წმინდა სანთელს, შენ სამუდამო სახლს ცრემლით დანამულ ყვავილებით მოგირთავთ შენი შვილები და ძმის შვილები. მე მოვეხვევი შენს გაყინულ ქვას და ჩავიკრავ გულში. მე ვილოცებ შენი ლამაზი სულისთვის და შენი შვილებისთვის, მე მიუყვები გზას, რომელიც შეგვახვედრებენ სასუფეველში ერთმანეთს.

დედა - ნიაზი ზურაშვილი, **მეუღლე** - გელა, **შვილები**: თორნიკე, მირანდა. **ძმა** რეზო, **რძალი** ნინო, **ძმისშვილები** ნია, თაკო ნატროშვილები.

თურქული სერიალები ჩვენს ცხოვრებაში

ბოლო დროს ქართულ ტელესივრცეში თურქული ტელესერიალების ცვენაა. საუკუნეების წინანდელი ჩვენი დაუძინებელი მტრის ქვეყნის წარმოებულმა ფილმების ეკრანებზე გამოჩენამ არაერთი ქართველის გაღიზიანება გამოიწვია. სერიალი და თურქული?! გაოცებას იწვევს ყველა ქართველში, დიახ, ჭეშმარიტი ქართველისთვის ძნელი დასავიწყებელია ის დიდი თურქობა საქართველოში, რომელიც მუდამ გვახსენებს თავს, როცა დავით აღმაშენებლის ეპოქას ვიხსენებთ, მეფეს, რომელსაც საკმაოდ დიდი დიპლომატიის და არაერთგზის ომის წარმოება მოუხდა იმისთვის, რომ საქართველო დიდი თურქობისგან ეხსნა და უფრო მეტიც, მათი უღლიდან გაეთავისუფლებინა საქართველო.

და რა ხდება დღეს? სოციალურ ქსელებში ვხვდებით უამრავი ადამიანის „ქართველურ" გამოსვლას, სადაც ისინი თურქულ სერიალებს და თურქული ქათმის კვერცხის პოპულარიზაციას აპროტესტებენ ქართულ ტელესივრცეში, თუმცა, მიუხედავად ამისა, თურქული სერიალები მაინც ძალუმად გვახვევია თავს და ხშირად ამით ჩვენი დიასახლისებიც და არამარტო ისინი, კარგად იქცევენ ხოლმე საღამოობით თავს. შესაძლოა, ეს არ გვსიამოვნებს, მაგრამ ცხოვრება თავისი დინებით მაინც მიდის და ვისთვის გამაღიზიანებელი, ვისთვის ფინანსურად მომგებიანი ტელესივრცე, მაინც თავისი დინებით მიუყვება გზას. ერთი კი აქვს დადებითი ამ ყველაფერს, თურქული სერიალებით თავი ავარიდეთ ზედმეტ გარყვნილობას, ის არ ჰგავს ზოგიერთ ბრაზილიურ თუ მექსიკურ სერიალების რიგ ფილმებს, სადაც ზედმეტი სიშიშვლე, ხვევნა კოცნა და ქართველებისთვის ბევრად მიუღებელი რამ იყო გადაღებული. მოდით ვთქვათ სიმართლე, რომ თურქულ სერიალებში ქართველმა ხალხმა თვისი ტრადიციების მსგავსი ნიშა იპოვა, სადაც ტრადიციები ებრძვიან ახალს. სადაც ძველი და ახალი თაობის ჭიდილია გადმოცემული ისე, როგორც წლების წინ ჩვენს ქვეყანაშიც იყო. თურქებს არ აქვთ ჭარბად გადაღებული ხვევნა-კოცნა და ზედმეტი სიშიშვლე, რისთვისაც ქართველ მაყურებელში მოწონება დაიმსახურეს და კარგადაც მოიკიდეს ფეხი ჩვენს ბაზარზე. მოკლედ, აღარ ვიცით ეს დადებითად შევაფასოთ თუ არა, მაგრამ როდესაც ხდება ისე, რომ მაყურებელთა თხოვნით განმეორებით აჩვენებენ თურქულ სერიალ „სილას", „ათას ერთ ღამეს", „დიდებულ საუკუნეს" და სხვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ მოთხოვნადია და მაღალია ინტერესი ჩვენს ქვეყანაში თურქების მიერ გადაღებული სერიალების მიმართ.

ბოლო დროს დაანონსებულმა თურქულმა სერიალმა, რომელმაც ყველა ადამიანს საყვარელი მწერლის, ჯეკ ლონდონის რომანი „დიდი სახლის პატარა დიასახლისი" გაგვახსენა, დიდი ინტერესი გამოიწვია თვით ისეთ ადამიანებშიც, რომლებიც სერიალების მაყურებლები საერთოდ არ არიან. არმოჩნდა, რომ ფილმი რეფიტ ჰალიკ კარაიას რომანის მოტივებზეა აგებული და მას ცნობილ რომანთან არაფერი აქვს საერთო, თუმცა, მთავარ როლებში მოთამაშე მომხიბლავმა მსახიობებმა და თავდაპირველივე ფილმებში გამოაშკარავებულმა დიდმა გრძნობამ, მაყურებელი მაინც ჩაითრია და ტელეეკრანებთან დასვა. აქედან გამომდინარე, დიდია ინტერესი აქ მოთამაშე მსახიობების მიმართ. რეჟისორ ზია ოზთანის მიერ გადაღებულ „დიდი სახლის პატარა დიასახლისში" ყველაზე მეტი ინტერესი მთავარი როლების შემსრულებლებმა ჯანსუ თოსუნმა(აიშემ) და სერჰათ თეომანმა (სავაშმა) გამოიწვიეს.

ჩვენი გაზეთის მკითხველის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტ სივრცეზე, სადაც ისინი ამ მსახიობებზე მოკლე ინფორმაციას მაინც გაიგებდნენ, ამიტომ გთავაზობთ ამ ორი შეყვარებული მსახიობის მოკლე ბიოგრაფიებს.

ჯანსუ თოსუნი ნიურნბერგში, გერმანიაში დაიბადა 1988 წლის 26 იანვარს. ხუთი წლის ასაკიდან საბალეტო სკოლაში დადიოდა. მოგვიანებით მან თანამედროვე ცეკვებში გადაინაცვლა, კერძოდ ჰიპ-ჰოპში. 13 წლის ასაკში, კარგი ხმა აღმოაჩნდა და შეისწავლა საოპერო ხელოვნება. ასევე მისდევდა ცხენოსნობასა და ცურვას. გერმანიაში რამდენიმე მარკის სახეს წარმოადგენდა. მუშაობდა ფოტომოდელად. ფლობს: გერმანულ, ინგლისურ და თურქულ ენებს. 2010 წელს სტამბულს გაემგზავრა, სამსახიობო ხელოვნების დასაუფლებლად. მსახიობის კარიერა 2011 წლიდან დაიწყო. მისცეს მთავარი გმირის, ნერიმანის როლი, რეჟისორ იოზერ ქიზილთანის სერიალში, „დიდი სახლის პატარა დიასახლისი". სამსახიობო მოღვაწეობას ამჟამადაც განაგრძობს. მსახიობს წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მას ნათამაშები აქვს შემდეგი როლები 2011 წელს - "დიდი სახლის პატარა დიასახლისი" - აიშენ ილმაზი , 2012 წელს - "დაკარგული ქალაქი" - ზეჰრა, ხოლო 2013 წელს - "სასახლის დღევანდელი ადამიანი" - ნერიმანი. მსახიობმა გამოჩენისთანავე უმალ

მოიპოვა რეჟისორებისა და მაყურებლის ყურადღება და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში ფილმის მეორე მთავარი როლის შემსრულებელის (სავაშის) სერჰათ თეომანის ბიოგრაფიას შემოგთავაზებთ.

მასალა მოამზადა
ლალი მეხრიშვილმა

მსოფლიოში პოპულარული სადღეგრძელოები

ყველა ქვეყანას თავისი ტრადიცია აქვს. საინტერესოა, რა სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ სადღესასწაულო სუფრასთან სხვადასხვა ქვეყანაში. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს:

ფრანგები ყველაზე ხშირად ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამენ - A votre sante. ამ სადღეგრძელოს შემოკლებულადაც ამბობენ - სანტე. სხვათა შორის, სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ისინი სასმისს სუფრის ყველა წევრს უჭახუნებენ. ჩვენებური "ბუჩქი" - ყველა სტუმრის ჭიქის ერთდროული მიჭახუნება მათთვის უცხოა.

ინგლისელებმა ჭიქის მიჭახუნება საერთოდ არ იციან. გამორჩეული სადღეგრძელოებიც არა აქვთ. დალევის წინ მხოლოდ ერთ სიტყვას - ჩჰეერს წარმოთქვამენ.

გერმანიაში სტუმრები მაშინ სვამენ, როცა ოჯახის უფროსი Prosit-ს იტყვის. კიდევ ერთი გავრცელებული ვარიანტია "ცუმვალ".

სუფრასთან **შვედები** შკოალ-ს წარმოთქვამენ. სადღეგრძელოს პირველად ოჯახის უფროსი ამბობს. იგი სუფრის თითოეულ წევრს გადახედავს, "სკოლს" იტყვის და შესვამს.

ირლანდიელები წარმოთქვამენ - "სლეინტს", **იტალიელები** - "სალუტს", უფრო ხშირად კი - "ჩინ-ჩინს", **ესპანელები** - "სალუდს". **ებრაელთა** ყველაზე პოპულარული სადღეგრძელოა - LChayim.

ჩინეთი ტრადიციების მოყვარული ქვეყანაა. საახალწლო სუფრაზე სადღეგრძელოებსაც ამბობენ და ერთმანეთს ჭიქებსაც უჭახუნებენ, მაგრამ უფროს-უმცროსობის წესს იცავენ.

მაგალითად, თუ ასაკით უმცროსი უფროსს ჭიქას უჭახუნებს, ჭიქის ზედა ნაწილი უფროსის ჭიქის ფეხს უნდა შეახოს. ამით ის უფროსისადმი პატივისცემასა და მორჩილებას გამოხატავს.

მერიქიფემ ჭიქები ბოლომდე უნდა გაავსოს, ამით ის სტუმრებისადმი პატივისცემას გამოხატავს. დალევის წინ ჩინელები წარმოთქვამენ: "კან პეი" (ან "კამპაი"), რაც ჩვენებურად ბოლომდე შესვის ნიშნავს, ჩინურად კი - „მდინარე დააშრე".

ულოცავენ!

ჯემალ ყოჩიაშვილს!

საყვარელო პაპიკო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო 75 წლისთავს. იყავ ჯანმრთელი, იცოცხლე დიდხანს ჩვენს საიმედოდ, რადგან ჩვენნაირი თბილი, მოსიყვარულე და მშრომელი პაპა ცოტას თუ ჰყავს ვინმეს. შენ შენი მხნეობით და შემართებით სიცოცხლის სტიმულს აძლევ გარშემომყოფთ. გაიხარე შენს დიდ ოჯახში და იყავ ბედნიერი ჩვენს ლამაზ ბებიკოსთან ერთად დიდხანს, დიდხანს. შენგან განებივრება არ მოგვაკლოს ღმერთმა.

შვილიშვლები:
დაჩი და ნია ოზგეთელაშვილები, ანუკი და ლიზიკო ღვინიაშვილები.

იყიდება!

იყიდება კაპიტალური, ბელეტაჟზე სუფთა საცხოვრებელი სახლი, უზრუნველყოფილია წყლით, გაზით, ელექტროენერგიით. სახლს აქვს ბოსტანი 15 მეასედი. საწყისი ფასი 16 000 დოლარი.მისამართი: სოფელი ხორნაბუჯი, ქიზიყის II-ე შესახვევი N25. მსურველებმა დარეკეთ
593 79 56 59,
593 79 20 47.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 20.10		სამშაბათი 21.10		ოთხშაბათი 22.10		ხუთშაბათი 23.10		პარასკევი 24.10		შაბათი 25.10		კვირა 26.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
12 °	6 °	14 °	7 °	13 °	11 °	18 °	13 °	15 °	10 °	14 °	9 °	9 °	4 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K